ხელშეკრულება №7

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“- ს საავტომობილო ტრანსპორტი მომსახურეებების შესყიდვის შესახებ“

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 06.03.2015 წელი

ერთის მხრივ, შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 215137830, მისამართი ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის №12) (შემდგომში „დამქირავებელი“) მისი დირექტორის თეიმურაზ ბარქაიას სახით და მეორეს მხრივ შემსრულებელი მიკრო-ავტობუსის მძღოლი ბაგრატ თურქია, პასპ. №42001003066, მცხ. ქ. ფოთი, რკინიგზის ბინა №27, მიკრო-ავტობუსი ფოლკსვაგენი, ს/ნ DIN-201 (შემდგომში „შემსრულებელი“). ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„დამქირავებელი“ ავალებს და „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას მოახდინოს შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ს ფეხბურთელების გადაყვანა საკუთარი ტრანსპორტით საჭირო მიმართულებით.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობას, რაც აქვთ მათ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
- წინამდებარე ხელშეკრულება;
3. ზემოთ აღნიშნული მომსახურების შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების პირობების თანახმად.
4. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ „ხელშეკრულების ფასი“ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 215137830, მისამართი ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის №12) (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი დირექტორის თეიმურაზ ბარქაიას სახით და მეორეს მხრივ შემსრულებელი მიკრო-ავტობუსის მძღოლი ბაგრატ თურქია, პასპ. №42001003066, მცხ. ქ. ფოთი, რკინიგზის ბინა №27, მიკრო-ავტობუსი ფოლკსვაგენი, ს/ნ DIN-201 (შემდგომში „შემსრულებელი“) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ს ფეხბურთელების გადაყვანა.

1.2 შესყიდვის საშუალება– გამარტივებული შესყიდვა

1.3 შესყიდვის კატეგორია–60100000–საავტომობილო ტრანსპორტი მომსახურებები

კლასიფიკატორის კოდი (CPV) – 60170000 - სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად

3. ხელშეკრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ეკისრება „დამქირავებლის“-ის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ მთ.მწვრთნელის ასისტენტი ნუგზარ თვარაძეს, მომსახურების გაწევა ფიქსირდება ხელმოწერებით.

4.ხელშეკრულების ფასი

4.1 შესყიდვების ღირებულება განისაზღვრება მიწოდებული მომსახურების მიხედვით (იხ. დანართი 1) და შეადგენს **400 (ოთხასი)**ლარს.

5.მომსახურების შესრულების ვადები

5.1 ტრანსპორტით მომსახურების შესრულების ვადაა:

მომსახურების დაწყება: 06.03.2015

მომსახურების დამთავრება: 10.03.2015

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორების ფორმა- ნაღდი ანგარიშსწორება.

6.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

6.3 შესრულებული მომსახურების საბოლოო ან მისი ნაწილის ანგარიშსწორების განხორციელებისათვის „მიმწოდებელმა“ უნდა წარუდგინოს „შემსყიდველს“- მიღება ჩაბარების აქტი .

6.4 ანგარიშსწორების ვადა განისაზღვრება შესრულებული მომსახურების მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „შემსრულებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.2 თუ „დამქირავებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ვალდებულებებს და ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით ზიანი მიადგა „დამქირავებელი“ ორგანიზაციას „შემსრულებელს“ ვალდებულია აუნაზღაუროს “ დამქირავებელ“ ორგანიზაციას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „დამქირავებელი“-სათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 „დამქირავებელს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „შემსრულებელი“-სათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „შემსრულებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „შემსრულებელს“დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან;

10.3 „დამქირავებელს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „დამქირავებელი“-სათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „შემსრულებელის“ გაკოტრების შემთხვევაში;

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშკრულების შესრულების შეფერხება, ან მისი ვალდებულებების შესრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, თუ გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ზელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ორივეს აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა

მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი“	“შემსრულებელი”
მისამართი: ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის #12	მიკრო- ავტობუსის
სს ,,ლიბერთი ბანკი''	მძღოლი: ბაგრატ თურქია
ბ/კ LBRTGE22	ს/ს ”პრივატ ბანკი''
GE41LB0113175756303003	ა/ა GE18TP0036010070001280
ს/კ 215137830	ბაგრატ თურქია
შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“	
დირექტორი თეიმურაზ ბარქაია	

დანართი 1

თარიღი	მომსახურების დასახელება	ქალაქის დასახელება სადაც ხდება გადაყვანა	ფასი
08.03.2015	ფეხბურთელების გადაყვანა	ფოთი–თბილისი-ფოთი	400
		სულ	400

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

დირექტორი: თეიმურაზ ბარქაია

მთ.მწვრთნელის ასისტენტი: ნუგზარ თვარაძე

მძღოლი: ბაგრატ თურქია